

საქართველოს გაერთიანების ისტორია

ძველი ასურული წყაროები გადმოგვცემენ, რომ როდესაც ქ. წ. მე-7-დე საუკუნეში მცირე აზიას ინდო ევროპელი მოდგმის ველურები შემოსევნიან, მაშინ სამი მეოთხედი ქართული მოდგმის ხალხისა მიწასთან გაუსწორებიათ. შემდეგ რაც გადარჩა და კავკასიას შემოეხიზნა, ეს იყო მცირე ნაწილი იმ ქართველთა, რომელნიც ოდესღაც ასურთა იმპერატორებს რისხვას აყენებდნენ ხოლმე.

ამ შორეული ხნის შემდეგ ქართველებს ისეთი უბედურება არ განუცდიათ, რაც მათ თავს დაატყდათ უკანასკნელ ეპოქაში.

ერი დაიშალა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად. დაეცა ნივთიერად. ის დაძაბუნდა სოციალურ ნიადაგზედაც. მუდმივი ქიშპობა შიგნით. დაუსრულებელი ინტრიგა და ბრძოლები. მეფე - მთავართა შორის. მეფეთა და ფეოდალთა შორის. თვით ფეოდალების ურთიერთ შორის. ფეოდალების მიერ გლეხობის დაწოკება. ბატონყმობის დამყარება. ქართველი ადამიანების გაყიდვა ოსმალეთისათვის. გარეშე მტრის მიერ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში რბევა ჩვენი ერისა. ძარცვა - გლეჯა. ხოცვა - ჟლეტა, გადასახლება. ტყვეობა და ყოველივე ის რისხვა, რაც ამ დროს საქართველოს თავს დაატყდა იყო ისეთი მძიმე, რომ მისი გადატანა და ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, მართლაც სასწაულად მოეჩვენება ადამიანს. საქართველოს დიდების ნაშთი, ავაგ სპასალარის ძღვედამოსილი ლაშქარი ველარ გაუმკლავ და მონგოლთა ურდოებს, რაღას გააწყობდა დაშლილ-დაქსახული საქართველო. ამიტომ ის დაეცა ყოველმხრივ და ფიზიკურადც განადგურდა. რომ ამ დიდ დრამაზე სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ, მას გავაშუქებთ ზოგიერთი სტატისტიკური ცნობებით.

ისტორიკოსები მე-12-ე ს. საქართველოში 7—8 მილიონ ქართველს ანგარიშობენ. მონგოლთა პირველ და შემდეგ ჯალალედანის ჟლეტის შემდეგ 1258 წლის მონგოლთა აღწერის მიხედვით საქართველოში კიდევ ყოფილა 6 მილი-

ონზედ მეტი მოსახლეობა. ეს ისეთი რიცხვებია, რაც უცხო იყო იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოებისათვის.

მაგრამ თემურლენგმა და მერე სპარს - თურქთა დარბევებმა მთლად განადგურეს ეს უზარმაზარი მოსახლეობა.

მე-XV ს. აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 570,000 მცხ.

1653 წელს 260,000. 1702--420,000, მცხოვრები. დასავლეთ საქართველოში მე-XV ს. ითვლებოდა 1,100,000 მცხ. 1640 — 900,000. ხოლო 1770 წ. 270,000.

მოკლედ, მე-18-ე ს. მეორე ნახევარში მთელს საქართველოში, სამცხე - საათაბაგოს გამოკლებით, ითვლებოდა ნახევარმილიონზედ ცოტა მეტი მცხოვრები. მაშ მონგოლების შემდეგ მარტო სპარს - თურქთა აოხრებების შემდეგ საქართველოში ათზედ ცხრა ადამიანი დაიღუპა. რაც ნორმალურ პირობებში უკუღმა უნდა მომხდარიყო. ე. ი. ერი უნდა გამრავლებულიყო ათჯერ მეტად. ევროპის ერების ანალოგიით რომ ვიანგარიშოთ ჩვენს დროს ქართველობა უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 70—80 მილიონი. თუ, რა საკვირველია, სხვა ფაქტორთა დაბრკოლებებს მხედველობაში არ მივიღებთ.

10

ერის ამ დრამას, ცხადია, გრძნობდნენ დიდი ქართველი მამულიშვილები და აღნიშნული სამი საუკუნის განმავლობაში არა ერთხელ ყოფილა ცდა საქართველოს კვლავ გაერთიანებისა. ხშირად ზოგიერთი მისი ნაწილებისა და ხანდისხან მთელი საქართველოსიც. მაგრამ ამ ცდებმა უშედეგოდ ჩაიარეს. რათგან მუდამ ერთი და იგივე გარეშე ფაქტორი მათ ამის ნებას არ აძლევდა ცხადია დაშლის ნიადაგზედაც მერე წარმოიშვენ ერის წიაღში და განვითარდნენ ისეთი მოვლენები, რომელნიც აგრეთვე ხელს უშლიდნენ ამ ერთობას.

ერთი ასეთი ცოდვათაგანი იყო

იმდროინდელი ფეოდალობა/ თუმცა ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, რომ აღნიშნული ფენები იბრძოდნენ სამშობლოს საერთო იდეალებისათვის. მაგრამ მათი ერთი მეორეში ქიშპობა ისე ძლიერი იყო, რომ ყოველგვარ საერთომოქმედებას აზრი ეკარგებოდა. ხოლო რაც მთავარია, ისინი ამ დროს მეტად თავისუფლად გრძობდნენ თავს და მეფის ხელისუფლების გაძლიერების ყოველგვარ ცდას ხმლით ეკვეთებოდნენ და ძირშივე სპობდნენ ხოლმე. ხოლო მეფის ხელისუფლების გაძლიერების გარეშე წარმოუდგენელი იყო რაიმე ერთობაზედ ლაპარაკი. ამგვარად მაშინდელი ფეოდალური ურთიერთობა იყო, გარეშე ფაქტორის შემდეგ, ერთი უდიდესი ლახვარი და ჯებირიც. რომლის იქით გაერთიანების იდეას ნაბიჯი ვერ გადაეღა.

ამ მძიმე შინაურ და გარეშე პირობების დროს გამოჩნდა გიორგი სააკაძის იყო არა მარტო რაინდი მებრძოლი, არა მედ გამჭრიახი პოლიტიკოსიც. ის ხედავდა რომ შეუძლებელი იყო გარეშე მტერთან გამკლავება, თვითნებურ შინაური ერთობისა. ის შინაგან დაქსახულობის მიზეზებს სასტიკად შეეებოდა, მაგრამ როგორც ვიცით დამარცხდა.

გიორგი სააკაძე ხედავდა, რომ შახ - აბაზის პოლიტიკა საქართველოს მთლად ამოგდებდა უპირებდა. მას იმედი ჰქონდა, თუ ქართლ - კახეთი მაინც შეერთდებოდა ერთი მეფის ხელმძღვანელობით, მაშინ სპარსეთი მას ვერაფერს დააკლებდა. მაგრამ ეს ნიშნავდა ცენტრალისტური ხელისუფლების გაძლიერებას, მაშასადამე ალაგმას ფეოდალური თვითნებობისა, ამიტომ ქართლ კახეთის ფეოდალები სასტიკად შეებრძოდნენ გიორგი სააკაძის პროექტს გაერთიანებისა. ხოლო სპარსეთის მიერ ქართლ კახეთის ზედი - ზედ დამარცხებამ ხომ ეს იდეა გიორგი სააკაძეს საფლაგში გაატანა...

ამ იდეას, თავიდანვე, თეიმურაზ პირველიც ატარებდა.

მანაც სცადა ქართლის შემოერთება. ზურაბ ერისთავის წყალობით კიდევ უკვე ქართლს და შეერთებულ ქართლ - კახეთის მეფედ ცხადდება. მაგრამ სპარსეთს ეს არაფრად მოეწონა, ქართლი ძალით დაიბყრო და იქ მაჰმადიანი როსტომი გაამეფა.

მე-17-ე საუკუნეში გიორგი მე-XI-მაც სცადა კახეთის ქართლთან შემოერთება და შეერთებული ძალებით გაელაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ცდამაც უშედეგოდ ჩაიარა.

არა ნაკლებ დრამატიული იყო ბედი დასავლეთ საქართველოსი. შეერთებაზე ფიქრი კი არა, აქ ბოლომდე სასტიკი ქიშპობა სუფევდა. ერთად ერთი ძალა, იმერეთის სამეფო, რომელსაც მართლა შეეძლო დასავლეთ საქართველოს სამთავროების შემომტყცება, ხშირად თვით სამთავროებზედ უარეს მდგომარეობაში იყო. შიგნით მუდმივი ბრძოლა თავადებისა, ზოგი მეფეს უჭერდა მხარს, ზოგი მას ებრძოდა. ხოლო სამთავროები, ხან ერთი და ხან მეორე, ხან კი ყველაერთად ებრძოდნენ იმერეთის სამეფოს. ასე რომ აქ ყოველგვარ ერთობაზედ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

დასავლეთ საქართველოც სისხლიდან იყო დაცლილ. ჯერ აუარებელი თავდასხმებით საგან, მერე შინაური ქიშპობით და ბოლოს იმ არა ადამიანური ებიდემიით, რომელიც ამ საუკუნეებში აქ მძვინვარებდა. ეს იყო ადამიანებით ვაჭრობა.

მაგ: მე-XVII — XVIII ს-ში მარტო გურიიდან წლიურად იყიდებოდა 10—12 ათასი სული, სამეგრელოდან 10 — 15 ათასი. ყველა იმით მოსახლეობა აქაც განადგურეს.

ამაზედ კიდევ მძიმე იყო მდგომარეობა სამცხე - საათაბაგოში. ჯერ საქართველოს სხვა ნაწილებთან ერთად მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში ხომ მანაც თავისი მსხვერპლი გაიღო. ხოლო ოსმალების მიერ მისი დაკავების შემდეგ, იქ ნელნელა მოსახლეობას მუსულმანობა მიალბინეს და დაიწყეს მათი, ფიზიკურთან ერთად, სულიერი მოწყვეტაც დედა საქართველოსგან. ამიერიდან სამცხე - საათაბაგო არა მარტო გა-



რაიხის პრესის უზროსის დ. ლიტრიხის პასუხი

როგორც ჩვენ წინა დღეებში ვთქვამდით, გაზეთ „ნოი ცურხერ - ცაიტუნგი“-ის ბერლინელ კორესპონდენტს ქონდა შეხვედრა გერმანიის რაიხის ბეჭდვითი სიტყვის შეფ დოქტორ ლიტრიხთან ახალი იარაღის გამოყენების შესახებ. დოქტორ ლიტრიხმა უპასუხა შემდეგნაირად:

შეკითხვა: გერმანიის მხრივ აღნიშნულია დიდი სიმძლავრის მოქმედება ახალი იარაღისა, ამავდროს ინგლისელები ყოველივე ამას უარყოფენ.

პასუხი: აღნიშნულია ორ ჯგუფს აქვთ ძალიან სწორი შეხედულება ახალი იარაღზე: პირველი, რომლებმაც პირადად თავის ზურგზე იცემეს მისი ძლიერი მოქმედება, მეორე ჯგუფი, ეს კი კონსტრუქტორები, რომლებმაც ხანგრძლივი ცდების შემდეგ მიიღეს ეს შედეგი. ინგლისის შინაგან-საქმეთა მინისტრ გორისენს დიდი სურვილი აქვს დამალოს ყოველივე ეს, არა იმიტომ რომ ეს ახალი იარაღი არასფერს წარმოადგენს, არამედ იმიტომ რომ მას ეშინია სიმართლე სთქვას ახალ იარაღის უნარიანობაზე.

შეკითხვა: ინგლისელები აცხადებენ, რომ მათ ჰქონდათ პროექტი ასეთივე ახალი იარაღისა, მაგრამ მათ ეს არ გამოიყენეს ჰუმანიტარი მოსაზრებებით.

პასუხი: ყველასათვის ნათელია, რომ ინგლისელები ყოველთვის იქაროდენ გამოეყენებიან ყოველივე ეფექტიური იარაღი. ჩვენ, გერმანელებს, გვიკვირს, როდის გაეღვიძათ

მოაკლდა ქართველობას, თუნდაც ქიშობაში, არამედ იქცა ოსმალების სურვილების აღმასრულებლად და საქართველოს საქმეებში ჩარევით კიდევ ერთხელ ართულებდა ჩვენს ისედაც უძლურ ცხოვრებას.

ასეთი დრამატიზმით შევდგით ფეხი მე-18-ე საუკუნეში, როდესაც ქართველი ერი ერთიანად და ყველა, ცალკე-ცალკე ხანგრძლივი მწარე გამოცდილების შემდეგ კვლავ მივიდა გაერთიანების იდეამდე.

ალ. მანველიშვილი

ინგლისელებს მოულოდნელი ჰუმანიტრობა, სწორედ იმ დროს როდესაც მათი სამშობლო საფრთხეშია? და არა ორი წლის წინათ, როდესაც ისინი ყრიდენ აუარებელ რაოდენობის ბომბებს ჩვენს ქალაქებზე და მშვიდობიან მცხოვრებლებზე, ესროდენ ჩვენს გლეხებს მინდვრებში? ჩემი აზრით არ არსებობს ორმაგი მორალი: ერთი — ინგლის - ამერიკეზისათვის მეორე — გერმანელებისათვის.

შეკითხვა: ინგლისში ლაპარაკობენ, რომ გერმანიაში დამბომბვის დროს, მიუხედავად მცხოვრებთა დიდი დანაკლისისა, მიზანი იყო წმიდა სამხედრო. იმ დროს როდესაც ახალი გერმანული იარაღი მიმართულია არა სამხედრო მიზნისათვის, არამედ ეს არის წმიდა - წყლის ტერორისტული საშუალება ომისა.

პასუხი: თქვენ თვითონ ნახეთ სამხედრო თვალსაზრისით ბარბაროსული ნანგრევები ბერლინში, ჰამბურგში, კელნში, მიუნხენში, ფრანკფურტში, ახენში და სხვაგან. თქვენ ხომ იცით არის თუ არა სამხედრო - ობიექტები საცხოვრებელი კვარტალები, კულტურული დაწესებულებანი. მიუხედავად ამისა თვით ინგლისელები სწერდენ სამშაბათამდე, რომ ლონდონი და სამხრეთ-ინგლისი სავსეა სამხედრო ნაწილებით და სამხედრო მასალებით და რომ ეს ადგილები გადაქცეულია დიდ სამხედრო ლაგერებათ. თქვენ თითონ განსაჯეთ მიზანშეწონილება, იყო თუ არა დაგვებომბა ის სამხედრო ლაგერები ახალი იარაღით?

შეკითხვა: შეგიძლიათ თუ არა თქვენ მითხრათ რაიმე, ახალი იარაღის შემდეგი განვითარების შესახებ?

პასუხი: შეიძლება მე არ გავცე საიდუმლოება, თუ ვიტყვი რომ ახალი იარაღის ბომბებით იქმნება მორწყული მთელი სამხედრო ობიექტები სამხრეთ ინგლისისა და ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ ამას არ მოყვება კიდევ უფრო მძლავრი სამხედრო იარაღი.

ჩვენ ვიბრძვით არა ინგლისის ხალხს წინააღმდეგ არამედ მათ წინააღმდეგ, ვინც შეცდომაში შეიყვანა ქვედნიერება.

მე რას ვუმღერ?!?

მე რას ვუმღერ?!

მხარეს ლურჯ ქედებიანს, ჩემს სამშობლოს ლამაზ იმედებიანს, ქართლს და კახეთს თოვლის მწვერვალებიანს, თეთრი შუბლით ცის კიდეს რომ სწვდებიან.

**

მე რას ვუმღერ?!

ვაუკაცობას არაგულს, ქართულ დროშას ნაქარგს და სამ ფერიანს, ზვიად მყინვარს, ყინულით გზებ დარაგულს ამირანზე ლექსი რომ უმღერია.

**

მე რას ვუმღერ?!

სიყვარულს და ზამბახებს, სიდიადეს აღმაფრენის წამისას, საესე მთვარის ვერცხლით ნაფერ არტახებს, ბინდს რომ აპობს საქართველოს ღამისას.

**

მე რას ვუმღერ?!

ქართველების კავშირსა, არ მივსტირი წარსულ დღეებს უმადურს. მინდა ყველა მეძახოდეს საყვირსა, სიყვარულის ნალარას და ტრუბადურს.

**

მე რას ვუმღერ?!

ჩემი ერის მომავალს, მამა პაპის მიწის ხვავს და ბარაქას, კვლავ დავექეპავთ ეს შავი დრო რომ გავაღა და სიხარულს შემოვივლებთ ვარაყად.

**

მე რას ვუმღერ?!


კოლხეთს ლურჯ ქედებიანს, ჩემს სამშობლოს ლამაზ იმედებიანს ქართლს და კახეთს ვერცხლის მწვერვალებიანს თეთრი შუბლით ცის კიდეს რომ სწვდებიან.

გიორგი ლოლუა

საბჭოთა დანაკლისის ნამდვილი რაოდენობა

რუსეთ-გერმანიის ომის შემდეგ, გერმანული საინფორმაციო ბიურო იძლევა შემდეგ ცნობებს საბჭოთა ზარალის შესახებ. „მაშინ, როდესაც ბოლშევიკების მხოლოდ ტყვედ ჩავარდნილთა რიცხვი 5.650.000 კაცს უდრიდა, მათ საერთო დაკარგულთა რიცხვად აღიარეს 5.300.000 კაცი. სინამდვილეში, ომის პირველ წლიდანვე ცხადია გახდა, რომ ბოლშევიკების მებრძოლთა მსხვერპლი მეტის - მეტად დიდდებოდა. 1941 წლის 22 ივნისიდან 31 დეკემბრამდე გერმანელთა ხელში ტყვედ ჩავარდნილთა რიცხვი აღწევდა 3.812.000-მდე. 1942 წელს ტყვეთა რიცხვი აღწევდა 1.500.000-ს და 1943 წლის 1 იანვარს გადაცილდა 5.300.000 კაცს. მას შემდეგ ეს ციფრი მატულობს. ამ ციფრ-

ბის შემდეგ, გაუგებარია მოსკოვის უტიფარი განცხადება, თითქოს, საბჭოთა კავშირის საერთო დანაკლისი სამი წლის განმავლობაში უდრიდეს 5.300.000 კაცს. იმ შემთხვევაშიაც, თუ საბჭოები ტყვეებს არ სთვლიან თავიანთ დაკარგულთა შორის და მხოლოდ მოკლულებს ანგარიშობენ, მათი ნაანგარიშები ბევრად ნაკლებია სინამდვილეში გაღებული მსხვერპლებზე, რადგან მოკლულთა რიცხვი ტყვედ ჩავარდნილთა რიცხვზედ არანაკლებ ორჯერ მეტია. და არ იქნება გადამეტებული, რომ ის 12.700.000 კაცამდე ჩავთვალოთ. რაც შეეხება სამხედრო მასალას, ის ამრიგად ნაწილდება: საბჭოებმა დაკარგეს 93.420 ტანკი, 88.646 ქვემეხი და 57.954 თვითმფრინავი.



ბერმანის უბელს სარდლობის სწოება

ინფლისელთა იმერეთის სიმაფის ტილის რაიონში კლავსოვს
შეკრების ზღვიდან შესავალი კიდევ ჩვენი სანაპირო ბატარეების
ცეცხლის ძველად

გაავთრებულნი ბრძოლაში სწარმოებენ იტალიაში

ფიურერის მთავარი ბანაკი.

28 ივნისი.

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ნორმანდიაში გუშინ, ისევ ტილის სამხრეთით მდებარე რაიონში სწარმოებდა მთავარი ბრძოლები. მთელი დღის განმავლობაში, მტრის ქვეითა ჯარების ძლიერი შენაერთები, მათი ფლოტის არტილერიის დახმარებით, უტევენ ჩვენს ფრონტს. მათი ნებისყოფა მოდრიკა ჩვენმა მხნე დივიზიონათა შეუპოვარმა წინააღმდეგობამ და აქა-იქ ჩვენი კონტრიერიშებით აღებული იქმნა წინა დღით დაკარგული რამოდენიმე წერტილი. მხოლოდ ერთ ადგილას, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, სადაც მან აუარებელი მოკლულთა გარდა, 50-ზე მეტი ტანკი დაჰკარგა. — შესძლო სულ მცირე მანძილით წინ წაძოწვა.

ორნის აღმოსავლეთით მტრის ერთი დამხვერაკი ჯგუფი მთლიანად განადგურებული იქმნა. შერბურგში წინააღმდეგობის მრავალი წერტილები კიდევ გმირულად განაგრძობენ ბრძოლას. ნავთსადგურში შესავლით მტერი ვერ სარგებლობს, რადგან ის ჩვენი სანაპირო ბატარეების ცეცხლის ქვეშაა. კონტანტენის ნახევარკუნძულზე, ჩრდილო აღმოსავლეთით და ჩრდილო - დასავლეთით რამოდენიმე გამაგრებული წერტილი ისევ შეუდრეკლად იბრძვის მტრის წინააღმდეგ. ჩვენი ავიაციის ძლიერი შენაერთები წარმატებით გასულ ღამეს თავს დაესხნენ ნორმანდიის წყლებში მტრის გემთა თავშეყრის ადგილებს. ერთს, გადმოსხმისათვის სპეციალურად აგებულ გემს ცეცხლი წაეკიდა.

სანაპირო ბატარეამ „იორკმა“ აიძულა პირი ებრუნებია მტრის ერთ კონტრიერიშის და ჩქარმავალ კატერთა ერთი შენაერთისათვის, რომელიც შერბურგის ნავთსადგურში შესვლას სდილობდენ. ჰოლან-

დიის ნაპირებთან და ლამანშის წყლებში ჩვენმა სადარჯო გემებმა დააზიანეს მტრის რამოდენიმე ჩქარმავალი კატერი.

ლონდონის რაიონი განუწყვეტლივ „Y-1“-ის ცეცხლის ქვეშაა.

იტალიის ფრონტზე, გუშინ ისევ ზღვის ნაპირებიდან ტრანსიმენის ტბას შუა მდებარე რაიონში სწარმოებდა ძლიერი ბრძოლები, სადაც მტერი ძლიერი შენაერთებით ცდილობდა ჩვენი ფრონტის გარღვევას. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ჯავშნიან გრენადიორთა მე-29 დივიზია, ლენერალ ფრიეს მეთაურობით, პარაშუტელთა მე-4 დივიზია პოლკოვნიკ ტრეტნერის მეთაურობით და ქვეითა ჯარების მე-356 დივიზია ლენერალ ფოლენძახის მეთაურობით. ამ ერთეულებმა, ჩვენი სახენიტო არტილერიის დახმარებით, რამოდენიმეჯერ მოიგერიეს, სულ მოკლე მანძილზე წარმოებულ ბრძოლების დროს, ჩვენზე აღმატებული მტრის ჩვენი ფრონტის გარღ-

ვევის ცდები და მათ უდიდესი ზიანი მიაყენეს.

აღმოსავლეთ ფრონტის საშუალო სექტორში ბრძოლის სიმძიმე, გარდა ბობრუსკის და მოგილოვის რაიონებისა, გადავიდა ზედა და საშუალო ბერეზინას აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. ჩვენი ავიაცია აქტიურად მხარს უჭერდა ჩვენს ქვეითა ნაწილებს თავდაცვითი ბრძოლებში. მან განადგურა მტრის ქვემეხთა დიდი რიცხვი და ასზე მეტი ავტომანქანა. ჩვენი ავიაციის ძლიერი შენაერთები წარმატებით თავს დაესხნენ სმოლენსკის და კალინკოვისის სადგურებს. კირკენსზე თავდასხმის დროს მტერმა დაჰკარგა 77 თვითმფრინავი.

საპაერო ბრძოლებში ლეიტენანტმა დორმა და ნორცმა ჩამოაგდეს თვითმფრინავი ცალკე, მტრის 12 მფრინავი. ბუდაპეშტზე თავდასხმის დროს ამერიკელებმა დაჰკარგეს 24 თვითმფრინავი. ჩვენი ავიაცია გასულ ღამეს თავს დაესხა სამხრეთ ინგლისს.

საზრუნველთა მთავარი
დახმარება კომიტეტი
გერმანულმა
ხელისუფლებამ გადასცა
200 მილიონი ფრანკი

ინგლის - ამერიკული ავიაციის გახშირებულ ტერორისტულ თავდასხმების მსხვერპლთა დასახმარებლად გერმანულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ ფრანკულ მუშათა დამხმარე კომიტეტს გადასცა კიდევ 200 მილიონი ფრანკი. წინადაცემულ შეწირულებებთან ერთად გერმანულმა ხელისუფლებამ გადასცა ენლას შეადგენს 700 მილიონ ფრანკს. რენე მენარმა, დამხმარე კომიტეტის თორემ, ღრმამადლობა განუცხადა გერმანულ ხელისუფლებას სოლიდარობის ამ ახალი აქტისათვის.

ფოტო - სურათი ჰაერიდან

იმ ფოტო - სურათების თანხმად, რომლებიც გერმანულმა მფრინავებმა გადაიღეს სამხრეთ ინგლისში, შეიძლება ითქვას, თუ რა დიდი ზარალი მიყენებული სოუტგეტბრონის სამხედრო ობიექტებზე. ძალზე დაზიანებულია დიდი მცურავი სახელოსნო და რამოდენიმე იქვე მდგომი გემები. სამი საშვავლო გემი იწვეს იქვე ნავთსადგურის გამოსავალთან. თვით ნავთსადგურზე არის შეკუმშული შავი კვამლი, უსათუოდ იწვის ნავთსადგურის მახლობლად მყოფი ქარხნები, და აგრეთვე საწვავ მასალათა საწყობები.

ყველა რკინის გზის კვანძებზე და სადგურებში მოსაჩანან დაზიანებული ადგილები.

ქალაქში მყოფი გზის ქარხანა იწვის რამოდენიმე ადგილზე, მისი კვამლით დაფარულია მთელი ქალაქი. ქალაქის ცენტრი და საცხოვრებელი ადგილები დარჩენილია ხელშეუხებლად.

„ლეგიონერი“-ს რედაქციის მისამართი:

Georgische Betreuungsstelle
16, rue Eugene Delacroix,
Paris (16).

ნებართვა «პა 818».

მოკლე ცნობები

პარიზული გაზეთები
დღევანდელ
ვითარებაზე

პარიზელი გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ გერმანელების მიღწევებს შემოჭრილ ადგილებში, განსაკუთრებით ორნის შესართავთან ხიდის თავის შევიწროებას, და ინგლის-ამერიკელთა დიდ დანაკარგებს. გაზეთები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ რაინის ბეჭვდითი სიტყვის შეფის დოქტორ დიტრიხის სიტყვებს, რომ სამხრეთ ინგლისის ახალი იარაღით დაბომბვა გაგრძელდება. საფრანგეთის საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მიიღო ლენ. დიტრიხის განცხადება, რომ შემოჭრის ადგილებში ჩვენი მდგომარეობა ყველგან უმჯობესდება.

ფინანსური
კლუბოკრატია
შეფუხებულია

„ფინანსური აგზები“
სტუმს ვანბაუს

ლონდონის გაზეთი „ფინანსური-აგზები“ სტუმს ვანბაუს, რომ ახალმა გერმანულმა იარაღმა უკვე არა სასიამოვნოდ იმოქმედა ინგლისის ფინანსებზე, კაპიტალური დაბანდბანი ბანკებიდან გამოაქვთ დიდი რაოდენობით, ვინაიდან ეშინიათ დასტოვონ ბანკებში: გრძობენ რა ახალი იარაღის კიდევ უფრო მეტ სიძლიერეს, ამჯობინებენ თავისი კაპიტალი შეინახონ არა ბანკებში, არამედ თავის სახლში, რითაც ძალიან ფერხდება ინგლისის ფინანსური მდგომარეობა.